

მულტიდისციპლინარული სწავლება ჯანმრთელობის პროფესიონალებისათვის

I. წინასიტორია

ქალაქ თბილისში პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირებისა და საოჯახო მედიცინის მოდელის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი ქსელების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის სამსახურების ეფექტურ გამოყენებას, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის (ოჯახებისა და თემის) ჯანმრთელობა სამოქმედო რეგიონებში.

პირველადი ჯანდაცვის გუნდის პროფესიულ განვითარებას, სტრუქტურირებულ და ყოვლისმომცველ უწყვეტ სამედიცინო განათლების პროგრამებს, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება პჯდ-ს სამსახურების გაძლიერების საქმეში. საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი აღიარებულია, როგორც სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრი, როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე. ოჯახის ექიმებმა, ზოგადსაექიმო პრაქტიკის ექთნებმა და მენეჯერმა, გაიარეს სპეციალური გადამზადების ციკლები ბრიტანეთ-საქართველოს ერთობლივი (1996-2003) პროექტის ფარგლებში.

ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რე-ტრენინგის პროცესი განვითარდეს და მომზადებულმა კადრებმა ჩამოაყალიბონ პირველადი ჯანდაცვის ეფექტურად ფუნქციონირებადი გუნდები. მომზადებულმა კადრებმა იფიქრონ, თუ როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები თავიანთ პრაქტიკაში, როგორ განავითარონ გუნდური მუშაობის პრინციპები და ქცევა, უკეთ გაიგონ ერთმანეთის როლი.

სწავლებისადმი მულტიდისციპლინარული მიდგომა დაეხმარება ეფექტურად ფუნქციონირებადი გუნდის ჩამოყალიბებას იმით, რომ:

- ექიმებსა და ექთნებს, გუნდის სხვა წევრებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ერთმანეთის როლს
- გაიგონ თითოეული პროფესიონალის ცოდნისა და ღირებულებების შესახებ, რათა ადექვატურად შესძლონ მისი გამოყენება
- განისაზღვროს თითოეული პროფესიონალის როლის აღქმა სხვა პროფესიონალებთან მიმართებაში
- წვლილი შეიტანონ ახალი ორგანიზაციული კულტურისა და ურთიერთობების ახალი ტიპების ჩამოყალიბებაში, რათა ექიმებისა და ექთნების როლი ნათლად იყოს განსაზღვრული; თითოეულ პროფესიონალს გააჩნდეს თავისი ძლიერი დღის წესრიგი და არ

შეიძლებოდა მისი მარტივად ჩანაცვლება სხვა პროფესიონალით, თუ არ იქნება გათვალისწინებული რა ზეგავლენას მოახდენს ასეთი ცვლილება მთლიანად გუნდზე და როგორ აისახება იგი გამოსავლებზე

II. კურსის დიზაინი

მიზანი:

საოჯახო მედიცინის პროფესიონალების მულტიდისციპლინარული სწავლების დამკვიდრება კადრების გადამზადების სქემებში იმისათვის, რომ მათი მომზადება შეესაბამებოდეს იმ სამუშაოებს, რომელიც მათ, როგორც პირველადი ჯანდაცვის გუნდის წევრებმა, უნდა განახორციელონ საოჯახო მედიცინის ცენტრში.

ამოცანები:

1. მსმენელთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება, რომელიც ეფუძნება მრავალდისციპლინარულ განზომილებას
2. მულტიდისციპლინური სემინარების განრიგებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავება მსმენელთა საჭიროებების შესაბამისად
3. საოჯახო მედიცინის მოდელისა და პირველადი ჯანდაცვის გუნდის ჩამოყალიბების ხელშეწყობა:
 - ა. დაეხმაროს საოჯახო მედიცინის ცენტრის პროფესიონალებს დაავადებათა მართვის პროტოკოლების შემუშავებაში
 - ბ. დაეხმაროს საოჯახო მედიცინის ცენტრის პროფესიონალებს ჯანმრთელობის დამკვიდრების/პაციენტის საგანმანათლებლო კლინიკების ჩამოყალიბებაში
 - ც. დაეხმაროს ცენტრის პროფესიონალებს იმ მიმდინარე პრობლემების განსაზღვრასა და გადაჭრაში, რომელიც წარმოიშობა ტრანზიტორულ პერიოდში, საოჯახო მედიცინაზე გადასვლის გზაზე

III. კურსის მოწყობა:

- მულტიდისციპლინური სწავლება განხორციელდება ყოველკვირეულად, საჭიროების შემთხვევაში - კვირაში ორჯერ
- კურსის კოორდინაციისა და დანერგვაზე მეთვალყურეობა განხორციელდება პროგრამის კონსულტანტის მიერ, რომელიც განახორციელებს შემდეგ აქტივობებს:
 1. კურიკულუმის მომზადება და სასწავლო პროგრამის შემუშავება

2. თითოეული სემინარის მოწყობასა და მეთვალყურეობა (საკითხის შეჩევა, ტრენერების იდენტიფიკაცია, დეტალური დღის წესრიგისა და ტრენერთან ერთად, სემინარის მიმდინარეობის აღწერილობის შედგენა; დაეხმარება ტრენერებს სასწავლო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხებში, როგორცაა ოვერჰედის აცეტატები, პრეზენტაციები, მასალების გამრავლება და სხვ.
 3. დაეხმარება პირველადი ჯანდაცვის გუნდს დაავადებათა პროტოკოლების ჩამოყალიბებაში
 4. დაეხმარება პირველადი ჯანდაცვის გუნდს ჩამოაყალიბოს ჯანმრთელობის დამკვიდრებისა და ქრონიკული დაავადებების მართვის კლინიკები (სემინარები/სკოლები)
 5. კურსის ევალუაციისა და დანერგვის მეთოდოლოგიის განვითარება
 6. ტრენერების მანუალისა და ლოკალური გაიდ-ლაინის შემუშავება, როგორც ტრენინგის პროგრამის პროდუქტისა (ბოლოს)
 7. შუალედური და საბოლოო ანგარიშების მომზადება
- სემინარებს წარმართავენ საოჯახო მედიცინის ტრენერები (ექიმი/ექთანი ტრენერები და მენეჯერ/ტრენერი). ტრენერების გუნდის კომპოზიცია თითოეული სემინარისათვის განისაზღვრება იმ საკითხის მიხედვით, რაც იქნება დაგეგმილი დისკუსიისათვის
 - დისკუსიისათვის შემოთავაზებულია შემდეგი საკითხები:
 - ჰიპერტონიის მართვა ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - გულის იშემიური დაავადების პრევენცია ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - შაქრიანი დიაბეტის მართვა ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - ბრონქული ასთმის მართვა ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - პალიატიური მოვლა ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - გავრცელებული პრობლემების მართვა ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - გადაუდებელი დახმარება ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - ხანდაზმულთა რეგულარული სამედიცინო შემოწმება
 - ჯანმრთელ (მ.შ. მოზარდთა) პირთა შემოწმება ზოგადსაეიმო პრაქტიკაში
 - ბავშვთა მეთვალყურეობა ზოგადსაეიმო პრაქტიკაში

- ჩანაწერების გაკეთება და დოკუმენტაციის შენახვა
- როგორ დავამყაროთ უკეთ კომუნიკაციები პირველად ჯანდაცვაში

შერჩეული საკითხები საჭიროებენ შემდგომ დისკუსიას.

დეტალური განრიგები გაკეთდება ნაბიჯ-ნაბიჯ, მსმენელთა სასწავლო საჭიროებებზე დაყრდნობით.

გათვალისწინებული უნდა იქნას ზოგადსაქიმიო პრაქტიკისა და გუნდის განვითარების საჭიროებები.

კურსის ევალუაცია უნდა მოხდეს შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

- **პროცესის ინდიკატორები:**
 1. ცენტრში ჩატარებული მულტიდისციპლინური სწავლების სემინარების რაოდენობა
 2. ცენტრში ჩატარებული მულტიდისციპლინური სწავლებაში მიღებულ მონაწილეთა (ექიმების, ექთნების, მენეჯერის და გუნდის სხვა წევრების) რაოდენობა
 3. ცენტრში ჩატარებული მულტიდისციპლინური სწავლებაში მონაწილე ტრენერების რაოდენობა
- **გამოსავლების ინდიკატორები:**
 1. მსმენელთა კმაყოფილება სასწავლო კურსით
 2. მსმენელთა ის რაოდენობა, რომელთაც სრულად გაიარეს კურსები
 3. დაავადებათა მართვის პროტოკოლების რაოდენობა
 4. ჯანმრთელობის სემინარების/სკოლების რაოდენობა, რაც ჩატარდება საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში

კურსის ევალუაციის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს.

IV. მოსალოდნელი შედეგები:

1. შეიქმნება მულტიდისციპლინური სწავლების პროგრამები
2. ჩამოყალიბდება ეფექტურად ფუნქციონირებადი პირველადი ჯანდაცვის გუნდი
3. განვითარდება იმის გაგება თუ „როგორ უნდა ვაკეთოთ უკეთ“ და „როგორ მივაღწიოთ საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტებს“

ასევე,

- a) დაავადებათა მართვის პროტოკოლების (ლოკალური გაიდ-ლაინები) რაოდენობა
- b) კლინიკური აუდიტების საკითხების, კრიტერიუმებისა და სტანდარტების განსაზღვრა-დანერგვა
- c) ჯანმრთელობის დამკვიდრების სკოლებისა და დაავადებათა მართვის კლინიკების ჩამოყალიბება

V. საბოლოო პროდუქტი:

- a) ზოგადსაეუიმო პრაქტიკაში ადამიანური რესურსების მულტიდისციპლინური სწავლების პროგრამები
- b) ლოკალური-გაიდ-ლაინები
- c) დაავადებათა მართვის პროტოკოლები
- d) ტრენერების მანუალები